საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება

№ 2-19 „24" აპრილი 2014 ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის, „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 17 იანვრის N1627 წერილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N1);

ბ) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N2);

გ) მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N3).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სურსათის

დანართი N2

ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის სამოქმედო გეგმას.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ცხოველთა გადამდები, მასობრივი არაგადამდები და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლებას, დაავადებების დროული დიაგნოსტიკას, ცხოველების დაკვლის პროცესზე (დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი შემოწმება) ზედამხედველობის გაუმჯობესებას, ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ საძოვრებზე) პროცესის ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით წარმართვას, ბიოლოგიური ნარჩენების შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე მეთვალყურეობის გაუმჯობესების გზით გარემო არის დაცვას დაავადებების აღმძვრელებით დაბინძურებისაგან და დაავადების გავრცელების რისკის შემცირებას, საქართველოს

ვეტერინარულ-ფარმაცევტული ბაზრის დაცვას ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატებისგან.

მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 25-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი, 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, 37-ე მუხლი, 39-ე მუხლის პირველი ნაწილი და „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაუქმების და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლის წესის შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2010 წლის 25იანვრის №2-8 ბრძანების მე-9 მუხლი.

2. ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება ,,საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის № 2-297 ბრძანების ფარგლებში.

მუხლი 3. პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

ა) ცხოველთა გადამდები, მასობრივი არაგადამდები და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების სწორად წარმართვა და მისი ეფექტურობის ამაღლება;

ბ) ცხოველების დაკვლის პროცესზე (დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება) ზედამხედველობის გაუმჯობესება და უსაფრთხო ხორცისა და სუბპროდუქტების წარმოება;

გ) ვეტერინარული კარანტინის ფარგლებში, ცხოველთა დაავადებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მონაცემების შეკრება, გამოკითხვა, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება, დაკვირვება და სხვა პროცედურების განხორციელება;

დ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ საძოვრებზე),პროცესის ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით განხორციელება;

ე) ბიოლოგიური ნარჩენების (ცხოველების ლეშები, სასაკლაოს ანარჩენები და ა.შ.) შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე მეთვალყურეობის გაუმჯობესების გზით, გარემოს დაცვა დაავადებების აღმძვრელებით დაბინძურებისაგან და დაავადების გავრცელების რისკის შემცირება;

ვ) საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენა და მათი რეალიზაციის აღკვეთა;

ზ) მიმოქცევიდან ამოღებული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე ზედამხედველობა.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

1. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მიერ.

2. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები, რომლებსაც შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით უფლებამოსილებას ანიჭებს სააგენტოს უფროსი.

3. ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების გამოვლენის, რეალიზაციისა და შენახვის წესების დაცვის მიზნით შემოწმება განხორციელდება შესაბამის კონტროლქვემდებარე ობიექტებში.

4. ვეტერინარული პრეპარატების საცალო ვაჭრობის ობიექტებში ხარისხის მონიტორინგის ჩატარების მიზნით შეისყიდება ექსპერტიზისათვის საჭირო რაოდენობის ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების ნიმუშები.

5. ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების გამოვლენის, რეალიზაციისა და შენახვის წესების დაცვის მიზნით, განხორციელდება, სავარაუდოდ, 220 ობიექტის შემოწმება, ხოლო ხარისხის მონიტორინგის მიზნით - ლაბორატორიული გამოცდა ჩაუტარდება სავარაუდოდ 180 დასახელების ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის ნიმუშს.

6. ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების გამოვლენისა და ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაციისა და შენახვის წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, კონტროლქვემდებარე ობიექტები დაჯარიმდებიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე სააგენტოს მითითებების შეუსრულებლობა ეპიზოოტიის საწინააღმდეგო პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, ცხოველის დაკვლა მისი რეალიზაციის მიზნით ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

7. ცხოველთა გადამდები, მასობრივი არაგადამდები და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების სწორად წარმართვაზე ზედამხედველობას, ცხოველთა დაავადებების არსებობის ან არარსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით მონაცემების შეკრებას, გამოკითხვას, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღებას, ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ საძოვრებზე) პროცესის ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით განხორციელებაზე, ბიოლოგიური ნარჩენების (ცხოველების ლეშები, სასაკლაოს ანარჩენები და ა.შ.) შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე მეთვალყურეობას, ვეტერინარულ ზედამხედველობას ცხოველების დაკვლის პროცესზე სასაკლაოებზე (დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება) განახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების განრიგი

1. ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება შემდეგი განრიგის მიხედვით:

ა) I კვარტალი - აღებული იქნება 18 ნიმუში და შემოწმდება 22 ობიექტი;

ბ) II კვარტალი - აღებული იქნება 54 ნიმუში და შემოწმდება 66 ობიექტი;

გ) III კვარტალი -აღებული იქნება 54 ნიმუში და შემოწმდება 66 ობიექტი;

დ) IV კვარტალი - აღებული იქნება 54 ნიმუში და შემოწმდება 66 ობიექტი.

2. ვეტერინარული ზედამხედველობა ცხოველების დაკვლაზე განხორციელდება მუდმივად ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ყველა სასაკლაოზე.

3. ვეტერინარული ზედამხედველობა ცხოველთა გადამდები, მასობრივი არაგადამდები და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების სწორად

წარმართვაზე, ცხოველთა დაავადებების არსებობის ან არარსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით მონაცემების შეკრება, გამოკითხვა, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება, ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის სეზონურ საძოვრებზე) პროცესის ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით ჩატარებაზე, ბიოლოგიური ნარჩენების (ცხოველების ლეშები, სასაკლაოს ანარჩენები და ა.შ.) შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე განხორციელდება მუდმივად წლის მანძილზე.

მუხლი 6. ნიმუშის ლაბორატორიული გამოცდა

1. პროგრამის მიმდინარეობისას ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების ლაბორატორიული გამოცდა განხორციელდება ,,საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის № 2-297 ბრძანების ფარგლებში.

2. ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდება ტენდერის შედეგად გამოვლენილ აკრედიტებულ ლაბორატორიაში.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს:

ა) ცხოველთა გადამდები, მასობრივი არაგადამდები და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლებას;

ბ) დაავადებების დროულად გამოვლენასა და დიაგნოსტიკას;

გ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის პროცესის ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით განხორციელებას;

დ) დაავადებების აღმძვრელებით დაბინძურებისაგან გარემოს დაცვას და დაავადების გავრცელების რისკის შემცირებას;

ე) ფარმაცევტულ ბაზარზე ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების განთავსებას და ვეტერინარული თვალსაზრისით უვნებელი ხორცისა და სუბპროდუქტების წარმოებას.

მუხლი 8. ანგარიშგება

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინება სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური ანგარიში.